წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. სამშაბათი ოქტომბრის 24—(6) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 მუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადებათა ფასი:
პირველ გვერდზე მეტი ტეტრ. ... 5 ...
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადებანი ...
სამგლოვიარო განცხადებანი ...
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია ... 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 157 ეროვნულ-დემოკრატიული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 157

არ დაივიწყოთ

გამოძიება, შეტანილი ხართ თუ არა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში. თუ ეს ამ თვის 27-დის არ გამოიძიეთ თქვენ ხმის დაჭარგავთ და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ. ამით დამფუძნებელ კრებაზე თქვენი ხმით გავლენას ვიღარ მოახდენთ. სიების შესწორება 27 თვდეგა.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გიორგაძე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ღოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების საგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (ვორია).

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულობა მიიღება დიდის 8—2 და სადამოს 5—9 საათამდის.

მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი.

23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

დატყვევებული ქალაქი გენტი

შაეი არძიდეა დრამა 3 ნაწილად კეტლინ ვილიმსის მონაწ.

1 ნაწ. გარნიზონის კერპი. 2 ნაწ. მხეცთა შორის. 3 ნაწ. მხეცნი და ადამიანები.

სხვის ლხინში ქეიფი კომიკური.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი.

23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

ქრონიკა გომონი მომდინარე ამბები.

სევდა

დრამა 4 ნაწილად, ელენა მაკოვისა და ტულიო კარმინატის მონაწილეობით.

1 ნაწ. ცისკარი (რიკრატი). 2 ნაწ. შუადღე. 3 ნაწ. მწუხრი. 4 ნაწ. ღამის წყვდიადი.

ჯერი კომიკურის მაგიერ კომიკური.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ძმ. ურბუოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებათა აკადემიფიფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. სადამოს 7—9 ს. ბეშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ექიმი

ბ. ი. ფოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავადმყოფთათვის. ავადმყოფები მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი ფალავა კოტეჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

საქართველოს ეროვნული ყრილობა.

ურყევ ბეშმარიტებად შეგვიძლიან ვაღიაროთ, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია ორმა დიდმა ფაქტორმა წარმოშვა. ერთი იყო სახელმწიფოს საერთო საშინელი პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო მეორე უფრო საშინელი მდგომარეობა ეროვნული კითხვისა. თუ პირველი ყოველ ქვეშევრდომს უხშობდა სულს და საძარეს უთხრიდა ყოველ კეთილ ცხოვრებას, მეორე ორმაგ სიმძიმედ აწვა კისერზე არა ველიკორუსს, განსაკუთრებით საქართველო იტანჯებოდა არა მარტო როგორც რუსეთის ნაწილი, არამედ როგორც ერი, მისი განსაკუთრებული თვისებებით. ესეთსავე მდგომარეობაში იყო უკრაინა, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ბელორუსეთი, ფინეთი, სომხეთი და სხვა უთვალავი ეროვნული ერთეულები, რომელთა დაპყრობა მთავარი სახელმწიფოებრივი პრინციპი იყო ძველი რუსეთისა (განა მარტო ძველისა?)

ამიტომაც იყო, რომ თვით ველიკორუსებზე გაცილებით უფრო მეტი მონაწილეობა მიიღეს რევოლუციაში, ამ ერებმა.

სამართლიანობას რომ გვერდიც აეხვიოს, თვით რევოლუციის კეთილად დაგვარგვნების საქმე მოითხოვს, რომ უწინარეს-ყოვლისა ეს ორი ამ რევოლუციის წარმომშობი ფაქტორი, სხვა კითხვათა პირველ რიგში იქნეს დაყენებული გადასაჭრელად.

თვით დანშნულებაც, მიზანი ამ რევოლუციისა არის: 1. საერთო პოლიტიკური თავისუფლება რუსეთისა და 2. კერძოდ ყველა ეროვნებათა განთნავისუფლება.

პირველი კითხვის გადაჭრაში ქართველობამ ნორმაზე მეტი ენერგიაც დაახარჯა რუსეთს, მაგრამ ალბად მომავალშიც არ დარჩება პასიური მაყურებლებად ამ კითხვის მოწესრიგებაში, ხოლო საქმე ის არის, გაკეთა თუ არა რაიმე ქართველობამ მეორე კითხვის მოსაგვარებლად? საქართველოს შვილებმა ბევრი ჯან-ღონე შეალია ველიკორუსეთ-უკრაინის მორიგებას, ფინეთშიც იყვნენ, რათა რუსეთის საკრედიტო უნარი აეწიათ, სხვა ერთა საკეთილდღეოთთაც არ დაუზოგავთ შრომა, ხოლო თავის საბშობლო საქართველოსათვის, ყოველთვის ეშინოდათ კრნტის დაძვრა. ბევრი ხელსაყრელი მომენტი გაუშვეთ ჩვენ ხელიდან, ბევრი შეცდომები ჩაიდინეს ჩვენი ერის მესვეურებმა, (თვით უბოძეს თავის-თავს ასეთი დილობი) მაგრამ ამაზე ლაპარაკი ეხლა გვინდა არის. დაკარგული უნდა შეძლებადაგვარად ავინაზღაუროთ.

არის ხმი ჯგნ საქართველოს კითხვის მოგვარებისა. ამ სამ გზათა შორის არცერთი გზა არ არის მოკლებული თავის მნიშვნელობას. ერთი არის საერთაშორისო საზავო კონგრესი, მეორე რუსეთის დამფუძნებელი კრება, ხოლო მესამე უფრო მეტ-ფასიანი, უფრო ყურად-საღები, როგორც შინ, ისე გარეგ. ეს არის **სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის** მოწვევა, რომელიც თავის გადამბერელ სიტყვას იტყვის ყველას კასაგონად და საყურადღებოდ. ნაყოფი ამ ყრილობისა მეტად თვალსაჩინო იქნება. ის, რასაც იტყვის ქართველი ერი საქართველოს ეროვნული ყრილობის სახით, ასე თუ ისე, კონკრეტიულ სახეს მიიღებს და ნამდვილ რეალ ფორმებში ჩამოყალიბდება. ბევრს შეიძლება გულში ედგადა ეცეს ქართველი ერის მკაფიოდ გამოსახული სურვილი, მაგრამ საქმე ამაზე არ შეჩერდება.

ერის სიტყვა იქნება მტკიცე, შეურყეველი და ის, ვინც ამ სურვილის განხორციელებას ღობეს აუშენებს, თვითვე დარჩება დანგრეულ ღობის ნანგრევებს ქვეშ.

ქართველი ერი არ არის ჩვეული უსამართლოებას და მის სამართლიან მოთხოვნილებათა ამუზრდ აგდებაც არ ჩაიგლის უბრძოლველად.

ჩვენი მიზანი უნდა იქნეს, ყოველგვარი გზებით ვისარგებლოთ, ოღონდ კი საუკუნოებით დასნეულებული ეროვნული სხეული განკურნოთ და არც მსოფლიო რუქაზე, და მსოფლიო ისტორიაში, არ მოიშალოს საქართველოს სახელი. რუსეთის დამფუძნებელი კრებაც და საერთაშორისო საზავო კონგრესიც რეზერვში უნდა ვიქონიოთ.

ასე თუ ისე, საზავო კონგრესზეც და რუსეთის დამფუძნ კრებაზეც დასმული საქართველოს საკითხი. ამ ინსტიტუტებში ქართული საკითხის წამოყენება ჩვენს ასე ეთქვათ უფრო საგარეო პოლიტიკას შეადგენს.

ხოლო ჩვენ შინაური ინსტიტუტი, უფლება მოსილი და ძლევა-მოსილი, იქნება **სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა.**

ამ ეროვნული ყრილობის მოწვევა არც ისე საძნელო საქმეა, როგორც ბევრსა ჰგონია. თქმა არ უნდა, რომ ყოველი სრულ წლოვანი ქართველი, განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა, მიიღებს ამ ყრილობის არჩევნებში მონაწილეობას. არჩევნები ოთხის ის ტემინი წესით მოხდება. რუსეთის დამფუძნებელ კრების საარჩევნო სამბადისმა უკვე ერთდაგვარი გამოცდილებაც მოგვანიეა და ამ გამოცდილებით მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ საქართველოს ეროვნული ყრილობის საარჩევნო კომპ. ნიაში. ღვთის წყალობით ამის შიში არ გვეძნება, როგორც ეს რუსეთში ხდება, ვითომ ქართველი კაცი გაეძევეგა ამ არჩევნებს. ჩვენი პოლიტიკური სიმწიფე საუკეთესო თავდებია ეროვნული ყრილობის უმტკიცნელად მოწვევისა და ჩატარებისა. საქმის შემაერთებელი ერთად ერთი ის არის, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები ყოყმანობენ.

დრო არის ასეთ ყოყმანს ბოლო მოეღოს. საკმარისია ყველა პარტიებმა გამოსთქვან ამის სურვილი და სიტყვას საქმედ ქცევა მოუნდომონ, რომ საქმეც კეთილად დაგვირგვინდეს- ვგონებთ, ყველას ამით უკეთესად ეურებს, რომ შეთანხმება გვინდა. ამას ამბობს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც, სოციალ-დემოკრატიულიც, სოციალისტ-ფედერალისტ-ტულიც, სოც. რევოლუციონერიც და ყველა კერძო პიროვნება თუ საზოგადოებრივი დაწესებულებაც.

ეროვნული ყრილობა ბევრ ნათელ სხივებს შეუშვებს ჩვენ ბნელულ-დაბნეულ ვითარებაში.

ამდენი ხანს ცალ-ცალკე ჯგუფები სწყვეტდნენ იმას, თუ როგორი უნდა იქნეს საქართველოს მომავალი ცხოვრება, როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი ურთიერთობა მეზობელ ერებთან და სხვა. ამიერიდან კი ყოველად აუცილებელი არის მთელი ერის ხმის გაგონება, მის ზრახვათა და მისწრაფებათა ნათლად გამოსახვა. ერი, თავისი წარმომადგენლების სახით, სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრილობაზედ რომ აირჩევს, გამოსთქვამს თავის გულის ნადებს და მის განხორციელებისათვისაც არ დაიშურებს დიდ მსხვერპლს. მომენტი ზედმიწევნით ხელსაყრელია და მისი ხელიდან გაშვება მეუტოვებელი ცოდვა იქნება, როგორც დიდი რევოლუციის წინაშე, ისე საქართველოსა და ქართველი ერის წინაშეც.

ეროვნულმა საპარტიათაშორისო საბჭომ ლოიალურად უნდა მიგვიყვანოს მთელ ქართველ ერის ეროვნულ ყრილობაზე, ჩვენს დედა ქალაქ თბილისში.

ინ. ხანი.

ქართული პრესა

რა აზრის არიან ს.-ფედერალისტები, ამას ააშკარავებს ქრ. რაქვეული შეილის წერილი (იხ. „სახ. საქმე“ №83). მოგვყავს ის შემოკლებით:

უდიდესი ნაწილი ამომრჩევლებისა ხმას აძლევს სოციალ-დემოკრატებს, შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტებს, ხოლო მათთან თითქმის თანაბრად ნაციონალ-დემოკრატებს. რაც შეეხება ესერების პარტიას, მას მოწონაადმდეგეებმა უწოდეს სამართლიანად „ჩიმოსულთა პარტია“.

გულახდილად უნდა აღვიაროთ: ჩვენ აქამდე თითქოს უფრო მეტი წარმოდგენა გვქონდა ჩვენის ძალებისა, ვიდრე სინამდვილეში აღმოჩდა. ხუთმეტი წლის განმავლობაში მაული ომები გადავიტანეთ იმისთანა საქმისათვის, როგორიც ქართველი ერის პოლიტიკური იდეალია და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრჯელ ვყოფილვართ გამაერთიანებელნი იმ ელემენტებისა, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ და უყვარდათ საქართველოს ეროვნული საქმე. დღეს ერთნაირი დიფერენცია-

ცია მოხდა, ყველამ თავის გზა მონახა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სამოღოოდ ჩამოშორდნენ ისინი, ვინაც მასთან მხოლოდ ეროვნული საკითხის გაგება აკავშირებდა. დღეს მათ თავისი ბაზარ მონახეს, გზა გაირკვეს და ჩვენში ეს უნდა იწვევდეს მოიოდოდ სიამოვნებას, სიხარულს და სხვის არაფერს. რა ელემენტები გვეკედლებოდნენ ჩვენ და რა აკავშირებდა მათ სოციალისტ-ფედერალისტებთან?

უპირველესად ყოველისა ჩვენს გარშემო შემოკრებნენ თავიდანვე, ვინც სოციალურ საკითხების განმარტებაში არ ეთანხმებოდნენ მაინდელ მარქსისტებს, თუმცა იდეალი—სოციალიზმი ერთი ჰქონდათ. მაგრამ მათთან ერთად ჩვენი დროშის ქვეშ დადგა მთლად ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რადგან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ერთად ეროი იყო, როშელსაც მაღლა ეპარა საქართველოს თავისუფლების ალამი.

ზშირად ხსენებული ელემენტები ხელს უშლიდნენ პარტიის სოციალისტურს ზრდას, თუმცა, ეროვნული იდეალის და განსაკუთრებით ავტონომიის ქადაგებამ ძლიერ დიდი ნაყოფი გამოიღო.

ჩვენც იძულებულნი ვიყვანთ ზშირად პარტიული პოლიტიკის წარნერგებზე ხელი აგვეღო, რათა გვეწარმოებინა **პოლიტიკა ეროვნული.**

ჩვენ მოვალეობა შეეასრულეთ და საქართველოს საკითხი მოვიტანეთ რევოლუციამდე.

ჩვენი ისტორიული მისია ეროვნულ საკითხში ნახევრად დათავდა. ამ საქმეში დღეს ჩვენ მარტონი აღარა ვართ, ზრომის განაწილება მოხდა და დღეს ყველას ვვიხდება გამოსვლა, დარაზმვა მხოლოდ პარტიულად, სოციალურად. ის ელემენტები, რომელნიც ჩვენთან იყვნენ მხოლოდ ეროვნულ საკითხის გამო—ჩამოგვშორდნენ და უმთავრესად შეავსეს ნაციონალ-დემოკრატების რაზმები. ხოლო ეხლა დგვიდგა დრო წმინდა სოციალისტურ პოლიტიკის წარმოებისა.

ეხლი ჰხდება ერთნაირი ახალი ფორმაცია, გარდმქმნა ჩვენის პარტიისა. დღეს ჩვენთან არიან და მოდიან ის ელემენტები. რომელთაც შენებული აქვთ ჩვენი პროგრამა მთელი თავისი შინაარსით და არ წარმოადგენენ შემთხვევით ხალხს. დღეს ჩვენთან ვინ მოდის? გელეხაი, შუშები, ფრიდი მოსულეობა, მშრომელი ინტელიგენტია. ეს შეიძლება ეხლა მცირე, მაგრამ მომავლისათვის ფრიდ სიმყარეთ ელემენტებია. შეიძლება დღეს ისეთი ძლიერნი ვიერ ვიყოთ, როგორც ჩვენს იდეებს შეეფერება, მაგრამ მრავალ რაცხოვნობა ხომ წარმავლია და ვერც სამართლიანობის სახითად გამოდგება.

დღეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიას „ემხრობა".

ასეა თუ ისე, ერთი რამ გულწრფელად უნდა აღვიაროთ: ჩვენ ჯერჯერობით მასსა არა გვაყავს და ხალხშიაც არაა ჯერ ფეხი გაგება იდეებისა. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ჰნიშნავს, კიდევ ვიმეორებთ-ჩვენი იდეების სიყალბ ს, ან ცხოვრებისათვის შეუფერებლობას. ეს მაშინ იქნებოდა, ქართველი ერს რომ სოციალისტ-ფედერალისტთა იდეები შეეთვისებინა და მერე თეორიულად ან პრაქტიკულად დარწმუნებულიყო მათ შეცდომაში რასაკვირველია არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ჩვენი მომავალი წინაა, შემდეგშია და ქართველობა ვერ ასცდება იმ გზას, რომელიც სოციალი.-ფედერალისტთა პარტიას დაუსახავს მისი განვითარებისთვის საქართველოში. სოციალიზმი უნდა იყოს ან სოციალისტ-ფედერალისტური, ან სულ ვერ იქნება, ვერ იხეირებს.

რუსული ბრესა.

ქვემოდ მოყვანილი დეპეშა გაზეთ „ნოვოია ვრმენ"-ის ლონდონელ კორესპონდენტისაგან ცხადად ჰყოფს, თუ როგორ უცქერის ინგლისის საგრძნობი ნაწილი რუსეთის რევოლუციას.

ორი კვირა არის მას აქეთ რაც გავლენინმა ყოველკვირეულმა „ნეუ ევროპე" იმედი გამოსთქვა, რომ მთავრობა დაჭეშმარიტ ახალ შეკრებულ პარლამენტში ინგლისის არსების არა ლოიალურ ტატიკას რუსეთის შესახებ.

პარლამენტი შეიკრიბა, მაგრამ, სამწუხაროთ, არც მთავრობამ, არც ლიბერალური პარტიის ლიდერებმა არ გამოსთქვეს პროტესტი ამ ტაქტიკის წინააღმდეგ.

ამავე დროს არა კეთილი დამოკიდებულება ახალ რუსეთთან ნათლათ დაეტყო რეაქციონურ გამომცემელთა ორ განოებს.

ყურადღებას მივაქცევ ორ წერილს რომელიც იყო მოთავსებული ყვითელი პრესში მოხვეკა, ერთი—ოგანნიანში: „დაილი �ეიტ"-ი მეორე ყოველკვირეულ „ჯონ ბულ" რადგან გამოხატავენ ტიპიურ შეხედულებას რუსეთზე. ერთი მათგანი ამბობს რომ რუსეთის დამარცხებას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს დასავლეთის მოკავშირეებისთვის და ამიტომ უკანასკნელები მოვალენი არიან არ გადადგეგვინონ რუსეთს საშიში ნაბიჯი.

მეორე მიმდინარეობა ამბობს რომ რადგან რუსეთ ყველა იმედები გაკრუებულია, ამიტომ მოკავშირეებმა არ უნდა შეიტეხონ მისთვის თავი.

მე საჭიროთ მიმაჩნია მიუთითო ამ ორგანოებზე, რადგან ისინი ძლიერ ღრმათ არიან გავრცელებული და გამომხატ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

საგუბერნიო კონფერენცია

შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაიხსნება ქ. ქუთაისში.

კონფერენციის საგანი: 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

2. პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატების წარმოგზავნის წესი: ქუთაისის გუბერნიის ქალაქები მეგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო-თითოს. ქალაქები ბათომი, ქობულეთი, სოხუმი, ოჩემჩირე მონაწილეობენ წერილობით წარდგენილ წინადადების თანახმად.

კონფერენციის მომწყობი: **ქუთაისის კომიტეტი.**

მზე დილა.

აფეთქდა რაინდი თვალმბრალ დილითა
პორკელთა მსხვრევაში ლომაზათ შეფენდა,
ლომაზომს სიცოცხლე ალმასსა ლილითა;
ზეანობს ზღაპრებში ხუთმეუტის ლეგენდა
ამირან ჭაბუკი რაინდი თეთრი შეფ
ატ.ასის დროშითა გადმოდგა სეფენთნ;
ეფერთ კოლხეთში ყვავილი ოდენ
ამერრდა ამრეშემ თვალ-წარ[illegible]
გულმკვლარი ნარგისი სამშობლოს საფლავით,
ირწყვა ყვავილობს წითელი მაისით;
სიმღერებს ემეტყველობ ლეკურთვალი ვარსკვლავთ
ფრთამოჭრილნ სიმის ლომაზი დაისით...
ამირან გვეძახს—ამირან რაინდი
დაეიწვეთ ბრძოლაში—ან ვიყოთ—ან არა!
დაიმსხვრა ბორკელი დაირსა ზღვა ბინდი
ახალმა სიმღერამ მზე დილა გვეხარა,
ელავენ ხანჯლები, ფოფოადომს ფრანგული
რკინისა სიზღვრებით მზე ქალობს თამარი,
მზე დილა იკინის ყვავილობს მამული
ოეეო-ოოლხეთი ნაზი და ნარნარი.

ლადო მაკაგარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთიც დამიბეჭდეს. ორატორს გაახსენებენ მის პროგრამის ოთხ მიზნებზე, ოლონდ შესახებაც ამბობს, მე რომ ის წინად დამეწერა, სამხედრო მინისტრი არ იტყოდა ჯარმა არ იცის, რისთვის იბრძვისო. ორატორი იხიარებს სამედიტერიო-საერთაშორისო სასამართლოებს, შეიარაღების შეზღუდვისა და დიპლომატიაზე პარლამენტის ზედამხედველობის დაყენების იდეებს, მაგრამაო, ამბობს ორატორი, ეს კანტროლი ამჟარი მოდელტერთან აო უნდა აღწევდესო. მეორე ჯგუფის აზრებად მილიუკოვს მიანნია ფო-მულები: „ომის ბ-ალი არავის ედება“, „ეროვნულ ვაიმარჯვეს!“, „ამ ომით არც ერთმა მხარემ არ უნდა ისაგებელოს“, „თვით გამორკვევის პრინციპი უანეგსიო ზავის ფორმულად უნდა ჩამოყალიბდეს“ და „ხალმბა ხელი უნდა აიღოს ეკონომიურს ბრძოლაზე“. მესამე ჯგუფის აზრები უფრო საინტერესოა. ესენი წმინდად ჩვენი საბჭოების კეთვნილებას შეადგენენ. აქ სტოკჰოლმის მოწოდების თეზისები 2 მიმართულებით ამის შესწორებულია: უტოპიზმისა და გერმანეთის ინტერესთა სასარგებლოდ (ასტყდება ხმაურობა, ისმის ხმები: „უკან წაიღეთ ეგ სტეკეტ!“ თავმჯდომარე ეცხადების, გერმანელთა ინტერესების სასარგებლოდ არავინ შეუსწორებია სტოკჰოლმის მოწოდებაო. დიდი ტაში, მარცხნივ), ორატორი იმეორებს თავის აზრს, მაგრამაო, ცნობილი არ არის ვინ შეასწორაო, შესაძლებელია საბჭოები არ ჩაუკვირდნენ ამ შესწორებებს. (ხმაურობა ძლიერდება, მარჯვნივ—ტაში, მარცხნივ—უკმაყოფილების ხმები. თავმჯდომარის აზრით ორატორს არ სურვებია, ვისმეს ბრალი დასდოს). მილიუკოვი დაწვრილებით არჩევს უტოპიურ თეზისებს, როგორც მაგალითად: წარმომდგენლობითი ორგანოების წევრთა და არა დიპლომატიის საშუალებით ზავის ჩამოვდება. პარლამენტს მიერ დაუმტკიცებელ ხელშეკრულებათა უმნიშვნელოდ გამოცხადება. ზემოდ ხსენებული შესწორებანი აშკარად გერმანეთის ინტერესების დაცვისკენ ნაა გადახრილი, თვით-გამორკვევის პრინციპის საკითხში. ნაკაზი რუსეთის რამდენიმე ოლქის ჩამოშორებას მოითხოვდა და ეს პრინციპი ავსტრიის საზღვრებს კი არ გადასცილებია. ეს რატომ მოხდა? მაგრამ ჩვენთან იყო ავსტრიის სოციალისტი ოტტო-მაუერი, რომელიც ეხლა ჩერნინს ემსახურება. (მარცხნივ ხმაურობაა). საბედნიეროდ ჯერ კიდევ საკითხია: იქონიებენ კი პარიზის კონფერენციაზე ზავზე მსჯელობას. საგარეო მინისტრმა სთქვა, მილიუკოვის მინისტრობის დროს რუსეთი ძალიან ახლო იდგა სეპარატიულ ზავთანაო. ამის გამო ორატორი ამბობს, როდის უფრო ახლო იყო ჩვენგან სეპარატიული ზავი: მაშინ, როდესაც ზამორის სასახლესთან ჯარი თავს იყრიდა, რათა საბჭოებისაგან დაეცვა მთავრობა, თუ ეხლი, როცა იგივე ჯარი ბოლშევიკებს აქეზებს, რომ ძალა-უფლება საბჭოებს გადასცენ რუსეთის ინტერესების დაცვა მოითხოვს, რომ დარდანელ-ბოსფორზე რუსეთის კონტროლი დაწესდეს. მინისტრმა უნდა განაცხადოს, რომ რუმინეთის, სერბეთის და ჩეხიის ალსადგენად რუსეთში უნდა განაგრძოს ომი; უამისოდ ახლო მომავალში კვლავ მოსალოდნელია ომი. მუხლი უნდა მოგიდრიკოთ იმათ წინაშე, ვინც რუმინეთის, სერბეთისა და ბოლოს იტალიისათვის ჩვენს მაგვრად უხდებათ ბრძოლა და ამერიკის წინაშე, რომელიც აუარებელ ძალას ჰკრავს ომისთვის. (საბჭოს მთელი მარჯვენა ნახევარი და მარცხნიდან კოოპერატივები ადგილიდან დგებიან და შოკავშირეთა წარმომადგენლებს ოვაციებს უმართავენ. სიწყნარე რომ ჩამოვარდება მარცხნიდანსეგიმეს: „გაუმარჯოს რევოლუციას“. მენშევიკებისა და ესერების ერთი ნაწილის გარდა მემარცხენენი სდგებიან და ტაშს უკრავენ)

მარტოვის განცხადება

ცეკერბაუმი (მარტოვი) აცხადებს, შეუძლებელია ჩაგრულ ეროვნებათა დამცველ ოტტო-მაუერს დაეწამოთ, ვითომც მან კონტა-შპონოდში დაიწყოს მსახურობა. მარტოვმა მიიყვანა ის დოკუმენტები, რომლებზედაც ემყარებოდა მილიუკოვი, როცა მარტოვს სწამებდა ჯარს მოუწოდა, საბრძოლ მიატოვეთო. ორატორი ამბობს, ეს მოწოდება მიმართული იყო შემდეგში ომის თავიდან ასაცილებლადაო.

ეროვნული კითხვა.

ლიტოვეთის სეიმი.

ლიტოვეთის სეიმმა, რომელიც ვილნოში იყო მოწვეული, განაცხადა: თუ გერმანეთი ომის გათავებამდე შეგვპირდება, რომ ის მომავალ საშვალობო კონფედერაციაზე ლიტოვეთის ინტერესებს დაიცავს, ლიტოვეთის სეიმი შესაძლოდ სცნობს, გერმანეთს შეუკავშირდეს, რადგან სეიმის აზრით ლიტოვეთის მშვიდობიანობის ნორმალურ პირობებში უკეთ იქნება დაცული დასავლეთით, ვიდრე აღმოსავლეთით და საბრძოლოთ ამ კავშირის მიუცილებელი პირობაა, რომ იგი ხელს არ უშლიდეს ლიტოვეთის თავისუფალ განვითარებას.

ახალი ამბავი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

შაბათს, 28 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ქალაქ ქუთაისში გაიხსნება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კონფერენცია. სხვა და სხვა რაიონებში არსებულ კომიტეტებიდან მოწვეული არიან დელეგატები. დაწვრილებით იხ. განცხადებაში.

◆ **წყალ გაღმა უბნის კომიტეტი.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი მოთავსებულია ორპირის ქუჩაზე, ღოლობერიძის სახლში. წევრთა ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება, ყოველ დღე, დილის 10—1 საათამდის საღამოს 5—8 საათამდეს.

◆ **მოწოფეთა კრება.** დღეს 24 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მოწოფეთა **საერთო კრება.**

ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ და მივიდნენ აღნიშნულ დროს.

მოწ. მთავარი პარეხიდული.

◆ **პარტიული საშკოთხველო.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ქუთაისის წყალ გაღმა უბნის კომიტეტი თავის ბიუროსაგან დაარსა პარტიული საშკოთხველო.

◆ **შავი ქვის მრეწველთა ყრილობა.** ქუთაისს შავი ქვის მრეწველთა ყრილობა დასრულდა კვირას 22 ოქტომბერს. ყრილობის უკანასკნელ კრებაზე მოხდა არჩევნები. არჩევნები პარტიათა მორის შეთანხმებით მოხდა. საბჭოს თავჯდომარედ არჩეული იქმნა კიტა აბაშიძე თავმჯდომარის ამხანაგად გიორგი დურმიშხანის ძე ტურული და ჟურულის ოანაშვილი ს. წეროეთელი. კ. აბაშიძის გამოპრეზენტაციის თავმჯდომარის მოვალეობას შესრულებს გიორგი ჟურული. აბაშიძეს და ს. ჟურულს ჯამაგრად წლიურად დაანიშნათ ო�ოცი თოსი მანეთი ს. წეროეთელს კი 10,000 მანეთი.

საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: დრონალი და ვარაბაშვილი და მათ კანდიდატებათ თოფურია და ნ. წერეთელი. როსტოვის სარიონო კომეტეტში წარმომადგენელად ა. ი. გამრეკელი. სარევიზიო კომისიის წევრად: გავრილდი, ჩხეიძე და დ. აბულაძე მათ კანდიდატებად: მესხარაშვილი და ჩუბინიძე. გამნაწილებელ ბიუროს წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ბ. გრიგოლაშვილი, ჯაყელი, ტერსე და ა. ი. გამრეკელი და მათ კანდიდატებათ ჯ. აბაშიძე.

◆ **გ. ზდანოვიჩის ხსოვნის პატივსაცემლად.** მავი ქვის მრეწველთა ყრილობამ საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის განსვენებულ გიორგი ზდანოვიჩის პატიესაცემლად დადგინა: დაეგდას ძეგლი მიცვალებულის საფლავს და ქ ქუთაისში დაარსდეს სახალხო სახლი. ამ დადგენილების გეგმის შესადგენათ და წინასწარი მუშაობისათვის გადადებულ იქმნა 10,000 მანეთი.

◆ **საეპარქიო საბჭოს არჩევა.** 25 ოქტომბერს ქ. ქუთაისში მოხდება ბრიელიად საქართველოს საეკლესიო კრების ქუთაისის ეპარქიის ამორჩეულ დელეგატების ყრილობა, საეპარქიო საბჭოს ამოსარჩევათ.

◆ **სურსათ-სანოვაგის გადაზიდვის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომეტეტმა ნებადაერთვეველთ გადაზიდონ ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში:

1. შაქარი—ხუთი ფირფანქამდე, 2. სიმიდი და სიმიდის ფქვილი—ხუთ ფუთამდე, 3. ხორაბალი და პურის ფქვილი—ორ ფუთამდე, 4. ჩაი—ერთ ფირფანქამდე, 5. ყველი—ოც ფირფანქამდე, 6. ერბო, ქარაქი და სამარხვო ზეთი—სამ ფირფანქამდე, 7. ყვერცხი—ასამდის, 8. კარტოფილი და სხვა ბოსტნეული—ორ ფუთამდე, 9. საქონლის საკვები მასალა—ორ ფუთამდე, 10. ადგილობრივი ზეთი—ერთი ნახევრი. 11. ბატყანი—ოც ფირფანქამდე, 12. საკერავი ძაფი ხუთ კოჭამდე, 13. ტყავეულობა—სამ ფირფანქამდე, 14. ფეხსაცმელი (მათ რიცხვში წუო�ები)—სამ წყვილამდე, 15. თუთუნი და პაპიროსი—ერთ ფირფანქამდე, 16. ასანთი—ათ კოლოფამდე, 17. საპონი—სამ ფირფანქამდე, ლობიო და ცერცვი—ერთ ფუთამდე, 19. გამბმარი ხილი—ხუთ ფირფანქამდე, 20. მოცვის ჩაი—სამ ფირფანქამდე, 21. ბურღული ყოველ ნაირი—ათ ფირფანქამდე, 22. გამომცხვარი პური—ათ ფირფანქამდე, 23. ლორის შაშხა—ოც ფირფანქამდე, 24. კუპატი, ძეხვი—ხუთ ფირფანქამდე, 25. ფრინველი ცოცხალი ფინდ დაკლული—რაოდენობის განუსაზღვრელათ, 26. დაფნის ფოთლი—ერთ ფირფანქამდე., ვადაზიდეს გუბერნიიდან და გატანა გუბერნიის გარეთ ჩამოთვლილი სანოვაგის აღწერილ რაოდენობის ზედმეტისა და ავრეთვე ფარფალის, ტომრების, შეშის, ჩქინის, პირუტყვის და რკინეულობის არ შეიძლება საგუბერნიო სასურსათო კომეტეტის ნებადაერთველათ.

◆ **თეატრი.** ყვირას 22 ოქტომბერს ქალაქის თეატრში მესამეჯერ წარმოდგენილ იქმნა ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“ წარმოდგენას თვით ავტორიც დგებოდა. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი.

◆ **მშობელთა წრის კრება.** დღეს, 24 ოქტომბერს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში მოხდება ხსენებული სასწავლებლის მოწფეების მშობელთა წრის წარმომადგენლების კრება.

◆ **სურსათის კითხვა.** ამ უკანასკნელ დღეებში ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომეტეტი სხმნდა ნ. პურის ბორბალს ფორ მეტს ლებულობს, ვინემ პურის ფქვილს, ამის გამო საგუბერნიო სასურსათო კომეტეტმა დადგინა: მიეცეს წინადადები ქალაქის სასურსათო კომეტეტს, რომ მოიწყოს პურისა და სიმინდის დაფქვის საქმე, რათა საკმაო რიცხვი დაიფქვას.

◆ **ქალაქის თავდაცვის კომისიამ** მიმართა ადგილობრივ ყველა პარტიებს, რომ, რადგანაც ამ მოკლე ხანში უნდა გადახალისებულ იქმნას სახალხო მილიცია წარმოადგენონ ერთი კვირის განმავლობაში სია კანდიდატებისა, რომელნიც მიღებულ იქმნებიან მილიციაში პარტიების პასუხის მგებლობით.

◆ **შეშის კითხვა.** საგუბერნიო სტაბაში მოსამსახურეებმა გუბერნიის კომისარს თხოვნით მიმართეს, რათა მათ დაეწესებულ ფასებში რიგს გარეშე ეფიდოთ საპირო შეშა, გუბერნიის კომისარმა მუშების მოთხოვნილება დასაკმაყოფილებლათ გადასცა სასურსათო კომეტეტს.

◆ **საღვთო სჯულის სწავლების შესახებ.** ამიერკავკასიის სამსწავლო ოლქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების მინისტრის წინაშე. რათა შეატყობინოს, ითვლება თუ არა საღვთო სჯული სავალდებულო საგნად. ჯერ ჯერობით საოლქო საბჭომ პედაგოგიურ საბჭოებს წინადადება მისცა, რათა საღვთო სჯულის გაკვეთილების რიცხვი შემცირებულ იქმნეს.

◆ **რაჭის მაზრაში.** რაჭის მაზრის კომიბარი ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარი, რომ რაჭის მაზრაში მეშამფურეთა და მიწის დამმუშავებელთა მორის ჩირნახულის აკრეფის დროს უკმაყოფილება არ ყოფილაო.

◆ **მარიამ მიქაბერიძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისი ქმარი ივანე მიზეონლისძე მათუმაკი მცხოვრები ლიუბლინის გუბერნიისა ბელოგორიარეის მაზრისა დიდიხანია, რაც უკვალოდ დაიკარგა, რისთვისაც სთხოვს ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, აცნობონ შემდეგი მისამართით: ქუთაისი, წმინდა ნინოს სასწავლებელი, მარიამ მიქაბერიძე.

◆ **სამხედრო ბეგრის შელავათის გაგრძელება.** სამხედრო ბეგრის შელავათის მიმაკუმმა მთავარმა კომიტეტმა დადგინა: 1. მათ შესახებ ჯარში გაწვევა, რომელიც გამ-ცხადებული იყო 1917 წ. 1 ნოემბრამდე, გაგრძელდეს 1918 წლის 1 აპრილამდე. ამის შესახებ განსაკუთრებული განკარგულება არ დაეგზავნება ადგილობრივ კომიტეტებს და სამხედრო უწყრესთან, აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებებს არ მოსთხოვენ განსაკუთრებულ მუშათა ახალ სიის წარდგენას. 2. ის პირები, რომლებიც მსახურებენ მომხმარებელ საზოგადოებებში და მათი შრომა აუცილებელია მომხმარებელ საზოგადოებისათვის ან მემთხვევაში ასეთ პირებს სამხედრო შედეგადი ეძლევათ სოფლის საზოგადოების თუ ქალაქის კომეტეტის თხოვნით, მომხმარებელ საზოგადოებაში მოსამსახურე არ უნდა იყოს 1905 წ. გაწვევეზე ახალგაზდა.

შელავათი მიეცემათ ადგილობრივ საბჭოს და წვრილ ვაჭარ-მრეწველთა დაწესებულებებში მომუშავეთ ამ პირობით, რომ შელავათის მთხოვნელი არ უნდა იყოს 1905 წ. გაწვევაზე ახალგაზდა. 4. იმ მუშებს, რომლებიც კვალიფიკაციურ შრომას ეწევიან თუ მასიერათ რომელიმე დაწესებულებიდან მათ დაიბარებენ ერთი თვის შელავათი ეძლევათ, რათა სხვაგან სამუშაოს მოსძებნონ.

შეცდომის გასწორება დღეკანდელი ნომრის მეთოთხეში შემდეგი კორექტურული შეცდომებია 1) მეათე ანაზაკის

მეორე სტრიქონში უნდა იყო დამფ. კრებაზეც დასმული იქნება საქართველოს საკითხი.

2) მეთორმეტე ანაზაკის უკანასკნელ სტრიქონებში წერია: საქმის შემარეთებელი. **უნდა:** იყოს საქმის **შემაფერხებელი.**

მსოფლიო ომი.

ᲗᲔ. ᲓᲐ. ᲬᲔᲠᲘ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

შვედეთი და ალადინ კუნძულები ბელსინგფორსი. ოქტომ. 18. ადგილობრივი პრესა და პოლიტიკური წრეები მეტად საეჭვოდ სცნობენ შვედეთის მიერ ალადინ კუნძულების დაპყრობას. ეს მით უმეტეს, რომ შესაძლოა კუნძულები გერმანელები გადაიპყრან. ამთა კი გერმანელები მომავლისათვის შეეიკანის დიდ საფრთხეს განუმზადებენ. კუნძულებს ბამა რადიკალ მმართველობის „ულინიანი“ აცხადებს, რომ ფინლანდიი არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს ალანდის კუნძულებსაო. „ალანდის კუნძულები, სწერს გაზეთი,—ფინლიანდიის ფარად ითვლება და თუ ვინმე მის წართმევა მოისურვა—ფინლიანდიის მოსისხლე მტრად ჩაითვლებაო. თუ შეეცალ ამ კუნძულების წართმევა მოიწადინა—მის და ფინლიანდიის შორის ის წლოვით განმტკიცებული ძმური კავშირი დაირღვევაო“.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანკის ცნობა.

პარიზი, ოქტ. 17. ოფიციალი. სენკენტენის ჩრდილოეთით ჩვენ ბელჩარეთულ ეერანი მივიტანეთ ბერმანელების თხრილებზე და ტყეებიც ჩავიგდეთ. ბეგეონნ-პარნი-პიერენტფოლის უბანში საარტილერიო ბრძოლა ეერნის რაიონში მტრის ძალიერმა რაზმმა ეერანშეის მოტანა ს�და, მაგ ამ ამაოდ. მასის მარჯვენა მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა. ბრძოლა დეშმისა დაპეზნვეოს ტყის შუა ფერო მწვავდება. კოლერის მოაზე მტერს სანგრები წავართვეთ. დანარჩენ ფრონტზე ლამეს წყნარად ჩაიარა.

პარიზი ოქტომბრის 19. საღამოს ოფიციალი. მეა. ენას ჩრდილოეთით პინონის რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გამოიარკვა რომ ღვინობის თვის 10-დან 14-მდე ხელთ გვიდია 11,157 ტყვე. ნაისნი 37 ოფიცერი და 180 ძმიმე ზარბაზანი. მასის მარჯვენა ნაპირზე ბომბოს უბანთან ბერმანელებმა იერიში სცადეს, მაგრამ მოგიგერიეთ. მოელ დღის განმავლობაში მასის და ბეზნოეს შორის ყუმბარების შერა არ შეწყვეტილა.

ლონდონი. ოქტომ. 18. ინრ-ოფიციალის რკინის გზისა და პელკაპვლეეე ბარესხეტეკეს გზის შორის ჩვენ ეერმანელების ასპარეზზე ეერიში მივიტანეთ. მარჯვენა ფრთაზე კანადის ჯარმა მაშენდელეს ტყემდე მიაღწია. ჩვენმა ჯარმა ბერმანელების ტყვეის-მფრქვეველები იგდო ხელთ. მარცხენა ფრთაზე ლონდონის ტერიტორიალურ ჯარმა გამაგრებული ფერმები დაიჭირა. გავრელის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბლოჩერის ჯარი მტრის სანგრავს დაეხვა თავს. დღესითედეს სამხრეთით ბელგიელ ჯარმა 19 ტყვე დაიჭირა.

ბერმანელები მურმანისკენ.

პეტროგრადი. ოქტომბრის 19. „ნოვ. ვრემ.“ კორესპონდენტი ქრისტი ნიიდან ადგენთხილებს რუსეთის შტაბს, რომ ბერმანელები იბრძვიან მურმანის გზის გადა-

ჭრასაო". ნორვეგიის პოლიტიკურ წრეებში დარწმ ნებულნი არიან, --ამბობს კორესპოდენტი, რომ შვეიციის მთავრობა ყოველს ღონეს მოიხმარს გერმანელთა აგენტების ასალაგმავად, რომელნიც მუდამ რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიანო. უკვე დასრულდა 6 უნტერ-ოფიცრის გასამართლება, რომელთაც ჭბრალდებოდათ ვინტოკეკების და პატრონრების გაყიდვა ფინლიანდელებზე. უკვე დამტკიცებულია, რომ გერმანელები განაგრძობენ მოქმედ აგენტების შეძენას. მათ ოქვე ლაპლანიაში 40 ათასი ირგი შეიძინეს, ვითომც და ხორცისთვის, საქმელად, ნამდვილად კი მურმანის გზის გადასაჭრელ ექსპედიციას ამზადებენ.

გერმანული იარაღი ფინლიანდიაში.

ბერლინ გზეთების ცნობით გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა უმეტესში, შვეიცარის ნაპირებზე ბოტნის უბეში, აუარებელი იარაღი და სამხედრო მასალები მოაზიდეს. ეს ტვირთი სრულიად ადვილად შეიძლება ფინლიანდიაში გადატანონ. დანელთა მოდარაჯეებმა რამდენიმე ფინური მოტორიანი ნავი შეაწიშნეს იარაღით დატვირთული, მაგრამ მისი შეპყრობა ვერ შესძლეს.

ბალტიის ზღვა. უცვლელადა.

შავი ზღვა. ჩვენმა წყალქვეშამ ოსმალთა გემი დაუზიანა. მის დასალუპად გიგზავნენ ჩვენნი ნაღმოსნები „ბილეკი" და „ბისტრი". მათ უფროსობდა მე-2-ე ნვის კაპიტანი გრაფი კელლერი. ნავთსადგურ იმ ადგილში აღმოაჩინეს მტრის ნაღმოსანი „გამიდაბად"-ის ტიპისა და ორი გემი. მტრის ნაღმოსანი ჩაეძირეთ. გემები დავწვეთ. სანაპირო ბატარეა შემუსრეთ.

ზავის გარშემო.

გერმანეთის წინადადება და ინგლისი

ლონდონი. ოქტომ. 18. თემთა პალატაში პოლეოფენიმა კარტონ გრეფინგმა ჰკითხა სგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარს, ყურადღება მიაქცია თუ არა მთავრობამ რიბოს განცხადებას, რომ მას ისეთი საზავო წინადადება არ მიუღია, რომლის შესახებაც საფრანგეთის მეკავშირეთათვის ცნობები არ მიეწოდოს და ან ინგლისსაც თუ ასე მოქმედობსო. სესილმა ორივ შეკითხვაზე დასტური დაროთ. სესილმა განცხადა, რომ მოკავშირეებს ფარულად მოღებულ წინადადებებასაც ვაცნობებთო.

ტერეშჩენკოს განმარტებანი

პეტროგრადი. ოქტ. 19. საგარეო საქმეთა კომისიის ფარულ სხდომაზე ტერეშჩენკოს განმარტებანი მოისმინეს

რიბოს წადადგომის მიზეზი

ლონდონი. ოქტ. 17. თემთა პალატაში ტარაველიანმა ჰკითხა პრემიერ მინისტრს, შეიძლება თუ არა, ვეფუწყოთ სრული ცნობები იმ საზავო წინადადების შესახებ, რომლითაც გერმანეთის მთავრობამ მიმართა ბრიანს. ან თუ იხსენიებს იგი წინადადება ბელგეთის აღდგენას და ელზას-ლორენის დათმობასო. სესილმა უპასუხა: ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გერმანეთს ასეთი წინადადებები მიეცეს. ყ ველ შემთხვევაში ეს საკითხი უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის მთავრობას შეეხება და არ არის სასურველი, რომ მის გამოქეყნებამდე ვილაპარაკოთ ა. ტარაველიანის შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ამ საკითხის გამო საფრანგეთის დეპუტატთა პალატას სხდომა ქონდა და ამის გამო რიბო გადადგაო, — სესილმა უპასუხა: სხდომა ფარული იყო და მე ფაქტიურად მის შესახებ არა ვიცი რაო

პარიზის კონფერენციის მიზანი

ლონდონი. ოქტ. 18. თემთა პალატაში რამხეი მაკდონალდი შეეკითხა მთავრობას, შეიცვალა თუ არა შეხედულება პარიზის კონფერენციის მიზნებზე? მართალია, რომ ომის მიზნების შესაბამებლად არ მოიწვევენ კონფერენციას და, თუ ასეა, რუსეთმა იცის თუ არა ესაო? ბონარ ლოუმ უპასუხა, პარიზის კონფერენციას საერთო სამხედრო მდგომარეობის განსახილველად ეიწვევეო.

უკრაინის სამხედრო ყრილობის რეზოლუცია

მთავარი ბანაკი. ოქტ. 18. ჯარის უმაღლეს კომისარს უკრაინელთა პირველი ყრილობის დელეგაციამ წარუდგინა დასამტკიცებლად ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ უკრაინის რადამ, უკრაინის რევოლუციონერ დემოკატიის სახელით საზავო მოლაპარაკება დაიწყოს ცენტრალ სახელმწიფოებთან. კომისარმა სტალკევიჩმა დელეგაციას ვანუცხადა, რომ რეზოლუცია მოწოდებაა სახელმწიფოებრივ ღალატისათვის და ამიტომ მისი დამტკიცება კი არა, საჭიროა რადის დატუ ადება, თუ მან მოინდომა რეზოლუციის განხორციელებაზე.

სოლის ბაუმემ.

არც ერთის ერს კავკასიაში არ შეუძლია სოქვას, რომ კულტურით ან წასულში, ან ეხლა ჩვენზე წინ იდგეს.

ქართველი ხალხი, განსაკუთრებით იმერლები, ხარბათ ეწაფება სწავლა განათლებას; ამას ამტკიცებს სკოლების სიმრავლე და დღეს ხომ ეს სიმრავლე სისწრაფით ორკეცდება, ვერ შეხვდები იმერეთში ასე თუ ისე მოზრდილ სოფელს, რომ არ არსებობდეს, ან და არ აარსებდეს ან პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელს ან გიმნაზიას.

რასაკვირველია, ეს სასიამოვნო მოვლენაა;

მარა ვის გვიმზადებს ეს სასწავლებლები და რა დარგის ინტელიგენტებს აძლევენ საზოგადოებას? რა მიზნის ემსახურებიან? ძველი რეჟიმის დროს მათი მიზანი იყო აღეზარდა მთავრობის მონა-მოსამსახურე „ჩინოვნიკები"—მსაჯულები, პოლიციელები, ვეექლები სხვა და დაწესებულებათა მოხელეები. უმეტესი ნაწილი ჩვენი ინტელიგენტიისა არის რუსის „ჩინოვნიკები"; ამ ჩინოვნიკობამ და კაკარდის სიყვარულმა ქართველება თითქმის სრულიად მოგვწვიტა და დაგვაშორა დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებებს. ბევრს ქართველ „ჩინოსანს" ვერც კი წარმოუდგენია რა ეკონომიური საქკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს მის კანცელარიის გარეშე!

ნუ თუ დღესაც, ამ დარგის ნასწავლი ხალხი უნდა გავამრავლოთ?

მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია ჩვენც მოგვანიკებს სრულ თავისუფლებას, რადგანაც „ჯარა, თუ მთელი რუსეთი ედირსება თავისუფლებას-მისი ნაწილება მონებათ არ დარჩებიან.

ამიტომ ჩვენ-ქართველობას თუ გვინდა ვიარსებთოთ უნდა ვიაოთ ეკონომიურ ბრძოლისთვის მომზადებული და ყოველი ჩვენი ნაბიჯი ამ მიზნისკენ უნდა იყოს გადადგმული. ერი, რომელიც ვერ შესძლებს ეკონომიურ ბრძოლას ის თავის თავათ გადაგვარების და სხვა ერებში გათქვეფის ბედს განიცდის-რა გინდ თავისუფლებაც არ მიანიჭო. რომ ეს უბედურება არ მოგვავდეს, ჩვენ უნდა ვამრავლოთ ინისთანა ტიპის სასწავლებლები რომელნიც ამ მხრივ გაგვამაგრებენ.

ამ მიზნის მისაღწევათ ჩემის აზრით საჭიროა არა პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლები და გიმნაზიები, არამედ ტეხნიკური, კომერციული აგრონომიული და სხვა სპეციალური სასწავლებლები ჩვენი ტერიტორია არას შემადგენელი ყელი აზრის და ევროპისა; და ჩვენ მომავალში იძულებული ვიქნებიან, ერთის მხრით, შუამდგომლობის როლი შეავსრულოთ ევროპის და აზიის-შორის, და მეორეს მხრით, უნდა ვეცადოთ რომ აღვადგინოთ ჩვენი კულტურის გავლენა ჩვენ მეზობელ აზიის სახელმწიფოებზე.

ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება ჩვენს ნაწარმოებს მოუპოვოთ ბაზარი სპარსეთ-ოსმალეთში. ერთის სიტყვით, ჩვენ უნდა გვაქვნეს ღია კარი აზიისაკენ და ეკონომიური მეტოქეობა გაუწიოთ (რამდენათაც შეგიძლებთ) ევროპის ბუმბერაზ სახელმწიფოებს.

თუ ამ თვალსაზრისით შეეხედავთ ჩვენს მომავალს, მაშინ აშკარაა, რომ სპეციალური სასწავლებლები უფრო მეტ სარგებლობს მოგვიტანენ, ვიდრე გიმნაზიები.

ამასთანავე აუცილებელი საჭიროებთ მომზრნია რომ ჩვენი კულტურა შეეტანოთ აზიაში; ამისათვის საჭიროა ყოველ გიმნაზიაში ავრეთვე პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდეს სპარსული და ოსმალური ენები. თუ ჩვენ ეს ენები არ გვეცოდინა ეს ქვეყნები ჩვენთვის უცხო ქვეყნებთან დარჩება და ვერაფერთან გავლენას ჩვენი კულტურისას ვერ მოვახდენთ.

ამ ენების ცოდნა ჩვენთვის ბევრის მხრით იქნება სასარგებლო და გამოსადეგი სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მომეე გამამდიანებულ ქართველებთან უფრო მჭიდროთ დაგვაკავშირებს და შეექმნით ერთ პატარას, მარა ძრიელ ერს.

პლატონ წულუკიძე.

პოლიტიკა თეატრში.

თვეის დროზე ითქვა, რომ დღევანდელ რევოლუციონურ ხანაში, თვისუფალი პოლიტიკური ყოფნის დროს, თეატრი გადაიქცა პროვინციაში სავაჭრო სახლად. ამ უკანასკნელ აზრის წინააღმდეგ არავინ არ გამოვა რადგანაც სიმართლის და სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლა სრული ამსუბრდი იქნებოდა. აშკარად იყო აღიარებული ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც დააქვეითეს და დამდაბლეს სცენის მნიშვნელობა, ხელოვნების ტაძარს წაართვეს ნამდვილი სახე და ღირებულება. ასე რომ ამ საგანზე ამ ეამად სიტყვა მეტია. მოვლენა ეს უარსაყოფია.

დღეს კი, მეორე არა სასურველი მოვლენის მოწმენი ვართ. თეთტში პოლიტიკაც შეიჭრა. წარმოდგენებზე დამსწრეთა სიმრავლე პარტიის წევრთა რიცხვზეა დამოკიდებული. აქედან ცხადია, რომ ანგარიშს უწევენ არა იმას, რა პიესა იდგმის, როგორი სახით, როგორი მოწყობილობით, როგორ ძალები პოლოლის განსახიერებას თელი პიესა თვისი გმირებით, არამედ იმას, ვინ არიან მონაწილენი, რა პოლიტიკურ მიმართულების, რის სასარგებლოდ იმართება წარმოდგენა. ეს, ასეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ დღეს როდესაც სპექტაკლს ესწრებიან. მართალია, იმ ქალაქებში, სადაც მთელ სეზონს აწამრობს დრამატიული დასი ქართულ მსახიობთა, რომლებიც ყველა პოლიტიკური მიმართულების ხელოვანნი შედიან, ასეთი მოვლენას ადგილი ალარ ექნება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია აღნიშნულ მოსაზრებით ხელმძღვანელობა; რაც შეეხება პროვინციას, აქ ასეთი მოვლენა ძლიერ ხშირია. მეტსაც ვიტყვით, სეზონის გარეშე თვით პროფესიონალი მსახიობიც მოკლებულია იმ პატივს, რომლის ღირსია ის, როგორც შემოქმედი, ღირსია ყველა მიმართულებისაგან. ვიცით ისეთი შემთხვევა, რომ გასტროლებზე ჩამოსულ ქართველ მსახიობზე პირველი კითხვა ყოფილი „რა პარტიის ანის"-ო. თეატრალური ცხოვრების დღევანდელი ხასიათი და სახე ასეთია, განსაკუთრებით პროვინციებშიაც.

წმამს, რომ სცენის ერთგული მსახურნი დაბეზმობენ ასეთ მოვლენას, რადგანაც ცხადია, რომ თეატრი ხდება პოლიტიკის ნათესაყუდრად, ბინად რომელიმე პოლიტიკური მიმართულებისა და მათი წევრებისა და ამით მის არსებობას არომეევენ ნამდვილ სახეს და ღირებულებას. მე მგონია, დღეს, როდესაც პოლიტიკაკენ ყოფნის სფეროში შეერთების გზაზე დგანან ყველა არსებული პოლიტიკური მიმართულებანი საქართველოში ხელოვნების მსახურნიც გამოსახავენ ერთ გზას და ერთგულად ემსახურებიან იმ საქმეს—ხელოვნებას, რომელმაც პოლიტიკა არიკის. რუსეთის, რიცხვით აუარებელ თეატრებში, ამ პოლიტიკური ქარტეხილების დროსაც, ძველებურუნზე უფრო ძლიერ ენერგიით მიმდინარეობს თეატრალური ცხოვრება, და ნუ თუ საქართველოს შვილნი გახდებიან შეუტაკაცოფელად ხელოვნების წინიდა სახისაო?!..

არ მჯერა ეს!..

ვ. სენეკი.

მ. ლვამიჩავა.

ვინ უნდა ავირჩიოთ იმერეთის საეპარქიო საბჭოს წევრებად.

საქართველოს ეკლესიის ფეხქვეშ გათელილი უფლებები ქართველი ერის და მისი სამღვდელოების შრომა-მაცადინეობით კვლავ აღდგენილ იქმნა. საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალობა (თვითმწყემსობა) ახლა უკვე მიმხდარი ფაქტია. ამიერიდგან მის ეკლესიის წინამძღვრობას გაუწევს თავი ამა ეკლესიისა, უნეტარესი პატრიარქ-ქალალიკოსი, ხალხის მიერვე არჩეული ქართველ მიტროპოლიტებ-ეპისკოპოსების დახმარებით და თანამშრომლობით. დღეიდან საქართველოს ეკლესია უკვე სრულ ავტოკეფალობაში შედის, რისთვისაც უკვე არჩეულია საქართველოს საკათალიკოსოს საბჭო, ეს უმაღლესი დისტანცია ჩვენი საეკლესიო მართვა-გამგეობისა. ახლა კი ასარჩევია საეპარქიო საბჭოები, რომლებიც უნდა განაგებდნენ ადგილობრივ საეპარქიო საქმეებს და ამასთანავე შეადგენდნენ სრულიად საქართველოსო საბჭოს ფილიალურ განყოფილებებს. ახლა საქმე ის არი, თუ ვინ უნდა ავირჩიოთ საეპარქიო საბჭოს წევრებათ?!. ვინ უფრო გამოგვადგება ამ ეამად სოფლის საქმედელოებას, როგორც მატერიალურ, ისე მორალურ უფლებების სასურველ დონეზედ დასაყენებლათ, ნამეტნავათ ამ ამბობკრებულ ხანაში?: ვინმე ამ კითხვებზედ გავსცემდეთ პასუხს, საჭიროთ მიგვაჩნია, რომ აღვიაროთ შემდეგი: ქალაქის უფრო შეძლებულ სამღვდელოებას (მკირე რიცხვის გამოკლებით) და ავრეთვე დაბა სოფლების ნაბლადობინარ, კარგ-კარგი ადგილების(სალვთო სჯულის მასწავლებლები) მექონ სამღვდელოებას თავისდღეში არ გამოუჩენია მისწრაფება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენისაკენ. პირიქით, ის, თუ თვალ ცხადლივ არა, ნამალევათ მაინც, მის საწინააღმდეგოთ მოქმედებდა. მხოლოთ ახლა კი გაეკეთებეს თვალები და ლამაზ-ლამაზი ფრაზების გამოთქმით აუბას და საეპარქიო მართვა-გამგეობის სათავეში მოექცეს და თავისი წინანდელი მართვა-პატრონობა გაახანგრძლივოს და ისევ ცხოვრება არივ-დარიოს.

დღეს, ამ რევოლუციის ოქროს, მოგეხსენებათ, ხალხს უმრავლესობის სურვილებს გამომხატველი უნდა იქნეს ყოველი ახალი დაწესებულება, და ჩვენი სურვილია, ამ ხალხს, ჩვენი დემოკრატიის გულწრფელი სურვილია რომ საეპარქიო საბჭოებში მოღვაწე წევრებათ მოექცეს ნამდვილი მცოდნენი ხალხის ჭირ-ვარამისა, სამრეველოების კეთილის მფაფალნი პირნი.

სწორეთ ამისათვისაა საჭირო, რომ მომავალ საეპარქიო საბჭოში შედიოდეს წევრათ ჩვენი სამღვდელოების წმინდა დემოკრატიული ნაწილი, რომელმაც ზედმიწევნით იცის, როგორც თავისივე თანა-მოძმეთა ჭირ-ვარამი, ავრეთვე სოფლის დაკარიელებული ეკლესიების და მათი შემადგენელი სამრეველოების ყოველად უმწეო მდგომარეობა, რათა თავიანთი მოღვაწეობა აქეთ,ენ მიმართოს. საბჭოს წევრთა არჩევის დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექ ცეს მათ თავდებს საბჭოსმდლო ეკლესიის განთავისუფლების, საქმეში მის სოფლათ მოღვაწეობა შრომას, მის სრულ მომზადებას, როგორც საეკლესიო, ისე საერო ლიტერატურულ საკითხებში, მტერ-მოყვარეთა საპასუხოთ და მრავალი სხვა...

ძველი მიეროკრატიული სული, რა მეელიც ჩვენში ვიამეფა რუსეთის სინოდმა, ამიერიდან პატრონს ჩაბარდება და ჩვენში ყოველგან, საეკლესიო და საერო საქმეებში გაბატონდება და უნდა გაბატონდეს დემოკრატია; და ამ დემოკრატიის წარმომადგენლებმა უნდა უფლემძღვანელონ და წარუძღვენ საეპარქიო საბჭოების რიგულ და მრავალგვარ საჭიროებას და მაშინ ჩვენი ივერიის ეკლესიის ცოცხალი საქმენი მიიქცევენ ყურადღებას მტრებისა და მოყვარეებისასაც.

აი, ეს მტერ-მოყვრობა იქნება თავმდები ინისა, რომ ძველი საქართველო, რომელიც ამდონხანს ეპარა სულ ხორცის საჯიჯგნათ რუსეთის სინოდს, სრულიათ მოკვდება, და გზას დაუღლიკავს ახალ საქართველოს ახალ ცხოვრებას, რომელიც სანატრელი და დიდათ საყვარელი შეიქნება ყოველ ქართველისათვის, განუჯრეველათ წრისა ჭასაკისა და სქესისა,

მოკეთე.

თეატრი და ხელოვნება.

შაბათს, ოქტომბრის 21 ს ქალაქის თეატრში წარმოადგინეს „მაღარის მუშა" დრ. 1 მოქმედებათ მარსელ გერდიბონისა, თარგმნი გოცირიძისა, და „ბედნიერ დღე" ირეთელისა. შარტ 3 მოქმედებათ. პიესის მსვლელობის დროს განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა მ. ჭიაურელი. იგი ძალიან კარგი იყო კაზენეკის როლში (მაღაროების ინჟინერი) და განსაკუთრებულის სიძლიერით გადმოგვცა ის მომენტი, როცა კაზენეკი ტყობილობს ბეშვების დაღუპვის ამბავს. კარგი იყო აგრეთვე ალოლუა (ანნა) ახალგაზდა ინჟინრის ცოლის როლში. ცოტას მოისუსტებდა გოგოლაური (ახალგაზდა ინჟინერი). დანარჩენები თავთავიანთ ადგილებზე იყვნენ. ძალიან კარგი იყო აგრეთვე ირეთელის მარტო „ბედნიერი დღე." აქ საინტერესო განსხვავებულობა ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობა. გამოაშკარავებულია მისი ცდევანელი ხასიათი და აგრეთვე ბრძოლა ოჯახის ადგილებზე. ბედნიერ ეს ირეთელი, რომ ეს ერთერთი ეკიპაჟი ... [illegible] ... ბაგანი ხელს უწყობდა. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ ვ. ბარველი, ს. ყალიბეგიშვილი და ე. ციმაკურიძე. კარგი იყო აგრეთვე შ. ჯაფარიძე მსახტრის როლში.

ლ-ო

მოწერილი ამბები.

სოფ. წყემი.

ეს სოფელი მდებარეობს სადგურ აბაშიდან 5 ვერსის სიშორეზე. თვით სოფელს ერთი მხრივ გეჯეთი აკრავს და მეორე მხრით ნოსირი. და სწორეთ ამ სოფლებზე გვექნება ლაპარაკი,

მეფის მოადგილე ვარანცოვ-დაშკოვის დრამდე ეს სოფელი მიწერილი იყო გეჯეთის საზოგადოებაზე. მაგრამ ვარანცოვმა იგი გეჯეთს მოაცილა და ნოსირს მიაწერა. ყოველი საქმისთვის, სარიგარი იქნებოდა იგი თუ სხვა რამე, წყემელი გლეხი ნოსირს მიდიოდა. მაგრამ დაიწყო ეს რევოლუციაც და საქმეებიც აირია: გლეხებმა ისევ გეჯეთს მიაშურეს, რადგან უფრო ახლოა (დაშორებულია 2 ვერსით), ნოსირი კი წყემსზე 6 ვერსითაა დაშორებული. ნოსირისაკენ გამოეჭრნდენ მომხრეები: გლეხების ერთი ნაწილი ისევ ნოსირს დადიოდა საქმეებისთვის. სოფელი ორად გაიყო: გეჯეთისა და ნოსირის მომხრეებად. იმდენმა ეზოხუთულობა: ერთი ძმა გეჯეთს მიდიოდა, მეორე ნოსირს. ბოლოს ჩამოვიდა ნოსირიდან ერთი მოქალაქე ბ—ია და სოფლის კრებაზე ენენის ყრა მოახდინა, მაგრამ რადგან შეხედა, რომ გამარჯვება გეჯეთის მომხრეებს დარჩებოდათ (გეჯეთის მომხრე იყო 55, ნოსირის 45) ენენის ყრა ჩაშალა და საქმე ისევ გამოუტანეველად დარჩა. მომართეს კომისარს, მაგრამ იქიდანაც არავითარი განკარგულება არ გამოიცა და სოფელი ისევ ორად გაყოფილი დარჩა.

საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს და გლეხებს ერთი გზა უჩვენონ, თორემ სოფლის ორად გაყოფა არაფერ კარგს არ მოახლენს.

ბახვა შონია.

სოფ. წყემი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

ძრო ადგილობრივი ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— ღილის	— 7 ს. 47 წ.	
„	— საღამ.	— 8 ს. 49	„
ბათომიდან	— ღილით	— 12 ს. 55	„
„	— ღამის	— 11 ს. 42	„
„	— ღილის	— 10 ს. 20	„
ფოთიდან	— ღილის	— 8 ს. 17	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს.	„
	ღილის	— 9 ს. 10	„
ხაშურიდან	— ღილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— ღილის	— 8 ს. 25	„
„	ღამის	— 10 ს. 20	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 1	„
„	— ღღით	— 1 ს. 40	„
„	ღილის	— 6 ს. 20	„
ფოთისაკენ	— ღღისით	— 3 ს. 18	წ.
ტყიბულისაკენ	— ღილის	— 7 ს. 57	„
	— ღღით	— 2 ს. 37	„
ხაშურისაკენ	— ღღით	— 4 ს. 40	„

ექიმები

ბ. მ. ასათიანი ღებულობს ქალებს, ვენერიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი ბ ეშვილინის და ბალაბანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარკეძიანი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დღეიდან 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლვაშავის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ამბავ "ჟურნალ" ბუკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში